ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2467123

ნომერი: AR1379198

თარიღი : 17.02.2016

გაცემის თარიღი : 10.03.2016

გაცნობის თარიღი : 10.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის 1მ/რ-ში , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი IV (ნაკვეთი N1) / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 41 , - ის წინ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085) / ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ.14/60);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჯოხიძე პ/ნ 55001003350
- მირიან მეფის 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2015 წლის #2338351 ბრძანებაში ტექნიკური

შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17.02.2016 წლის #AR1379198 განცხადებით მომართა ირაკლი ჯოხიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2015 წლის #2338351 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2015 წლის #2338351 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, დიდი დიღმის 1მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი№1)/ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე, № 41-ის წინ/ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085)/ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ.14/60), შპს „მიგ ჯგუფი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.06.014.104) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ გეგმის 6,48 ნიშნულზე საცხოვრებელი ფართის ჯამი 441,8 ნაცვლად შეადგენს 441.9-ს და აქედან გამომდინარე, მთლიანობაში საცხოვრებელი ფართი 4257.9 კვ.მ–ის ნაცვლად უნდა იყოს 4258 კვ.მ. ზემოაღნიშნულის გამო, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და დაფიქსირდეს შემდეგი მაჩვენებელი: საცხოვრებელი ფართობი - 4258 კვ.მ. და შესაბამისად, საერთო ფართი: კვ.მ. ხოლო საერთო ფართობი 6330.1–ის ნაცვლად – 6330.2 კვ.მ. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2015 წლის #2338351 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი 4257.9 კვ.მ–ის ნაცვლად - 4258 კვ.მ. ხოლო საერთო ფართობი 6330.1–ის ნაცვლად – 6330.2 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/12/2015 წლის #2338351 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.